

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ დამატებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 109-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 3⁶ ქვეპუნქტი:

„3⁶. გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის და რეგლამენტის 261²-ე მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის საბჭოს“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი რედაქციის 261² მუხლი:

„261².

გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე. საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს თავმჯდომარის ან შესაბამისად მოადგილის სამდივნო.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე

